პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 230 (4224)

1970 წ. ნოემბერი 24 სამშაბათი. ფასი 2 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან



## ფალავანი

ქართულ ჭიდაობაში თბილისის აბსოლუტური პირველობისთვის უმაღლესი სასწავლებლებისა და სპორტსაზოგადოებათა წარმომადგენლები იბრძოდნენ. სარბიელზე 19 მოჭიდავე გამოვიდა, რაც სარეკორდო ციფრად უნდა ჩაითვალოს.

ტურნირმა რამდენიმე ახალგაზრდა ნიჭიერი მოჭიდავე გამოავლინა. პირველ ყოვლისა ესენი არიან მძიმე წონის ფალავნები — უნივერსიტეტის წარმომადგენელი რ. ჭიკაიძე, ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტი ა. ბარკალაევი...

ნახევარფინალამდე წმინდა გამარჯვებებით მივიდა ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტი ა. მარგველანი. მან მომდევნო შეხვედრებშიც დამაჯერებლად იჭიდავა და ღირსეულად დაიმსახურა თბილისის ფალავნის ტიტული. II ადგილი ხვდა ნ. ახალაურს („სპარტაკი"), ხოლო III — რ. ჭიკაიძეს.

მსაჯთა კოლეგიის სპეციალური პრიზი ვაჟკაცური ჭიდაობისთვის ა. ბარკალაევს მიეკუთვნა.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ თბილისის აბსოლუტური პირველობის პარალელურად ტარდებოდა სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალთა ჩემპიონატი სამბოში და ამიტომ რამდენიმე მოჭიდავემ ჩვენს ტურნირში მონაწილეობა ვერ მიიღო. ეს რომ არა, ასპარეზობა კიდევ უფრო საინტერესო და დაძაბული იქნებოდა.

ახლა ჩვენი უძლიერესი ფალავნები გულმოდგინედ ემზადებიან საქართველოს აბსოლუტური პირველობისთვის, რომელიც 4-5 დეკემბერს ჩატარდება თბილისის სპორტის სასახლეში.

ბ. მაზიაშვილი,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი.

• • •

სურათზე: ა. მარგველანი.
მ. ზარგარიანის ფოტო.

სოფლის სპორტსმენთა
საკავშირო თამაშები

## „კოლმეურნე"— ვერცხლის პრიზიორი

ლუცკი, 22 ნოემბერი (დეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.). აქ დამთავრდა ხელბურთელ ვაჟთა შეჯიბრება.

ბოლოსწინა ტურში მოულოდნელად წაიფორხილეს ლიდერებმა — უკრაინელებმა, რომლებმაც ფრედ (20:20) დაამთავრეს შეხვედრა მოლდაველებთან. ასევე ფრედ, ამასთან, ერთნაირი ანგარიშით (18:18) დამთავრდა ესტონეთისა და საქართველოს, სომხეთისა და რსფსრ-ს გუნდების შეხვედრები.

ბოლო ტურში უკრაინელებმა დაამარცხეს რსფსრ-ს წარმომადგენლები—19:12, ხოლო საქართველოს ხელბურთელებმა, ისევე როგორც შესარჩევ ტურნირში, ფინალშიც ფრედ ითამაშეს სომხეთის კოლექტივთან — 24:24.

ამრიგად, ჩემპიონობა მოიპოვეს უკრაინის ვოლინის ოლქის გოროხოვსკის რაიონის ხელბურთელებმა, რომლებმაც შეჯიბრება დამაჯერებლად ჩაატარეს და 9 მატჩში არც ერთხელ არ დამარცხებულან. ხუთ ფინალურ შეხვედრაში მათ 112 გოლი გაიტანეს, თვითონ კი მხოლოდ 87 ბურთი მიიღეს. გუნდის საუკეთესო ბომბარდირია ბ. კუსევიჩი, რომელმაც 19 გოლი გაიტანა.

ჩემპიონატის საუკეთესო სნაიპერად აღიარებულია ვ. სიდიაკინი (მოლდავეთი), რომელმაც ფინალურ თამაშებში 37 ბურთი გაიტანა.

შეჯიბრების ვერცხლის პრიზიორები გახდნენ საქართველოს „კოლმეურნის" ხელბურთელები.

III საპრიზო ადგილზე გავიდნენ ესტონეთის „იიუდის" სპორტსმენები. დანარჩენი ადგილები ასე განაწილდა: მოლდავეთი, სომხეთი, რსფსრ.

ჯ. ენუქიძე.

## ა. სურმანიძის რეკორდი

კიშინიოვში გრძელდება სოფლის ძალოსანთა საკავშირო შეჯიბრება. ქვემსუბუქი წონის ძალოსანთა ასპარეზობაში უხეიროდ გამოვიდა საქართველოს გუნდის წევრი ა. სურმანიძე, რომელმაც საწყისი წონა — 102,5 კგ ვერ აწია და შეჯიბრებას გამოეთიშა. სურმანიძემ მსაჯთა კოლეგიას სთხოვა ნება მიეცათ, რომ კოლმეურნე სპორტსმენთა შორის ატაცში საკავშირო რეკორდის დამყარება ეცადა, ახლა კი იმარჯვა და მიზანს მიაღწია. კოლმეურნე სპორტსმენთა საკავშირო რეკორდი ატაცში ახლა 110 კილოგრამს უდრის.

აი, ცალკეულ წონით კატეგორიებში გამარჯვებულნი: უმჩატესი წონა — ვ. კუზმინიხი (რსფსრ) — 290 კგ; მჩატე — ს. ესაიანი (სომხეთი) — 327,5; ქვემსუბუქი — ვ. მაკაროვი — 340 კგ; მსუბუქი — ა. რიაბცევი (ორივე — რსფსრ) — 405 კგ.

## იასპარეზებს 300-მდე სპორტსმენი

1972 წლის ზამთრის ოლიმპიადის წინაოლიმპიური კვირეული იაპონიის ქალაქ საპოროში 1971 წლის თებერვალში ჩატარდება. მაგრამ უკვე ცნობილია, რომ ასპარეზობაში მონაწილეობას მიიღებს 16 ქვეყნის 300-მდე სპორტსმენი.

როგორც შეჯიბრების ორგანიზატორებმა განაცხადეს, ყველაზე მრავალრიცხოვანი იქნება ნორვეგიის დელეგაცია. სარბიელზე გამოვლენ, აგრეთვე, საფრანგეთის, ფინეთის, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის, გდრ-ისა და სსრ კავშირის სპორტსმენები.

ელიან განაცხადებს ავსტრიიდან, ჩეხოსლოვაკიიდან, გფრ-იდან, იტალიიდან...

„განთიადის" ცენტრალური საბჭო მცხეთაში, მტკვრის ნაპირზე აგებს წყალჯომარდობის სადგურს, რომელიც ამ საზოგადოებაში კანოებითა და ბაიდარებით ნიჩბოსნობის განვითარებას შეუწყობს ხელს. ელინგი ორსართულიანია. აქ იქნება მწვრთნელების ოთახები, ექიმის და სასწავლო კაბინეტები, ნავების შესანახი...

სურათზე: წყალჯომარდობის სადგურის მშენებლობა. სადგურის დირექტორს თ. ალიბეგაშვილს ბაზის მოწყობის სამუშაო ნახაზებს აცნობს სამუშაოთა მწარმოებელი მ. გაგლოშვილი.

მ. ზარგარიანის ფოტო.



## სსრ კავშირის თასი — თბილისელთა ოთხეულს

ბარნაული, 22 ნოემბერი. ადგილობრივ სპორტის სასახლეში დღეს ასზე მეტმა აკრობატმა მიიღო მონაწილეობა სსრ კავშირის თასის გათამაშებაში. ისინი აკრობატიკის 9 სახეობაში ეცილებოდნენ ერთმანეთს პრიზებს, თანაც, ბატუტზე სინქრონულ ხტომებში — პირველად. ამ სახეობაში პრიზებს დაეუფლნენ ლვოველი ნ. კოლესნიკოვა და სვერდლოვსკელი ო. ევსტიგნეევა, სვერდლოვსკელები ნ. შმელიოვი და ვ. მურინოვი.

ბატუტზე ინდივიდუალურ ხტომებში საუკეთესონი იყვნენ ტოლიატელი ო. სტარიკოვა და მოსკოველი ი. ზაიცევი.

აკრობატულ ხტომებში პრიზები მოიხვეჭეს სსრ კავშირის ჩემპიონმა, სტავროპოლელმა ნ. ტიმოფეევამ და მისმა თანაქალაქელმა და მოგვარემ ა. ტიმოფეევმა.

ორიოლში წაიღეს თასი საკავშირო ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორებმა გ. ფრიდმანმა და ა. სტეფანოვმა, რომლებმაც შერეულ წყვილთა ვარჯიშში იმარჯვეს. წყვილთა ვარჯიშში კრასნოდარელებმა ვ. ანანევიჩმა და ა. ლავრენკოვმა სსრ კავშირის ჩემპიონთა წოდებას საკავშირო თასიც დაუმატეს.

საქართველოს აკრობატებმა ოცწლიანი „შესვენების" შემდეგ მიაღწიეს გამარჯვებას ჯგუფურ შეჯიბრებაში საკავშირო სარბიელზე — ახლა თბილისელთა ოთხეულმა სსრ კავშირის თასი დაისაკუთრა. ეს ოთხეულია თ. ლომთაძე, ა. სლივკოვი, ს. დელიბალტოვი და ა. თედეევი.

## ინფორმაცია

● მოსკოვი, 22 ნოემბერი. პრაღის ხელბურთელ ქალთა გუნდმა მოსკოვის ნაკრებთან სამი მატჩი ითამაშა და სამივე წააგო. ამ კოლექტივთა ბოლო შეხვედრა მასპინძლებმა მოიგეს ანგარიშით 19:12 (13:6). მოსკოველები „კარპატის თასის" გათამაშებისთვის ემზადებიან, რომელიც რუმინეთის ქალაქ ტიმიშოარაში გაიმართება. საბჭოთა ხელბურთელთაგან ყველაზე შედეგიანი იყო ვ. ჟივიხი, რომელმაც სამ შეხვედრაში 24 ბურთი გაიტანა. ხვალ მოსკოვის ნაკრები რუმინეთს მიემგზავრება.

● კლუჟი, 22 ნოემბერი. მსოფლიო ჩემპიონმა — რუმინეთის ხელბურთელ ვაჟთა ნაკრებმა ყველას აჯობა „კარპატის თასის" ტრადიციულ გათამაშებაში. მან ანგარიშით 11:10 (5:5) დაამარცხა მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი — იუგოსლავიის ეროვნული გუნდი და, ბოლო მატჩის შედეგის მიუხედავად, ვადამდე გაინაღდა უძლიერესის სახელი. მოსკოვის ნაკრებმა ფრედ დაამთავრა შეხვედრა გდრ-ის გუნდთან — 15:15 (9:7). რუმინეთის ახალგაზრდულმა ნაკრებმა სძლია უნგრელებს — 17:16 (6:8). საბჭოთა ხელბურთელებმა წინა ტურში ასევე ფრედ ითამაშეს იუგოსლავიელებთან — 13:13 (6:6).

● ტალინი, 22 ნოემბერი. დღეს აქ გაიმართა ასუჯრიან შაშში საკავშირო პირველობის IV ტური. კვლავინდებურად კარგად ითამაშა რსფსრ-ს არაერთგზის ჩემპიონმა, უფელმა ოგოროდნიკოვმა: მოულოდნელი და ეფექტური კომბინაციით მან 36-ე სვლაზე დაამარცხა ლენინგრადელი რატსი. ყურადღების ცენტრში იყო მოსკოველი დიდოსტატის შჩოგოლევის შეხვედრა საბჭოთა კავშირის ჩემპიონთან განტვარგთან (მინსკი). შჩოგოლევმა თამაში კარგად დაიწყო, მაგრამ 51-ე სვლაზე შეცდა და მონაპოვარი გააქარწყლა. საბოლოოდ პარტია ყაიმით დამთავრდა. ასეთივე შედეგით დასრულდა კუპერმან — შაველის, მეშჩანსკი — მერინის, ანდრეიკო — მოგილიანსკის, გოლოსუევ — მ. კორხოვის, კაპლან — ე. კორხოვის, გერშტ — დავიდოვისა და ციპეს — შაუსის შეხვედრები. გათამაშდა, აგრეთვე, ციპეს — შაველის გამოტოვებული პარტია. იგიც ყაიმით აღინიშნა. 4 ტურის შემდეგ 3-3 ქულით ლიდერობენ ანდრეიკო, მერინი და მ. კორხოვი.

● ლენინგრადი, 22 ნოემბერი. აქ დამთავრდა ფიგურული ციგურაობის ოსტატთა საერთაშორისო ტრადიციული ტურნირი, რომელშიც მონაწილეობდნენ ბულგარეთის, უნგრეთის, პოლონეთის, რუმინეთის, ჩეხოსლოვაკიისა და სსრ კავშირის წარმომადგენლები. პროგრამის ყველა სახეობაში საბჭოთა ფიგურისტებმა გაიმარჯვეს. ერთეულთა სრიალში პირველნი იყვნენ ს. ვოლკოვი (მოსკოვის ოლქი) და მ. ტიტოვა (მოსკოვი), სპორტულ ცეკვებში — მოსკოველები ტ. ვოიტიუკი და ვ. ჟიგალინი, წყვილთა სრიალში — ლენინგრადელები ლ. სმირნოვა და ა. სურაიკინი.

● ვენა, 22 ნოემბერი. კიევის „სპარტაკის" ხელბურთელ ქალთა გუნდმა აქ ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების პირველი მატჩი გამართა. საბჭოთა სპორტსმენებმა ანგარიშით 16:5 სძლიეს ადგილობრივ „ადმირას". საპასუხო შეხვედრა 28 ნოემბერს გაიმართება კიევში.

● ხერსონი, 22 ნოემბერი. აქ გაიმართა თავისუფალი ჭიდაობის ოსტატთა პირველი სამატჩო შეხვედრა საბჭოთა კავშირის გმირის, მეტყვიამფრქვევე ნ. სუბოტას ხსოვნის პრიზზე, რომელმაც თავი გამოიჩინა მშობლიური ქალაქის განთავისუფლებაში. გარდამავალ თასს ერთმანეთს ეცილებოდნენ პოლტავის, ჩერკასკის, ყირიმის, ნიკოლაევისა და ხერსონის ოლქების წარმომადგენლები. ყველას აჯობეს მასპინძლებმა.

● მოსკოვი, 22 ნოემბერი. დამთავრდა იუნიორ წყალბურთელთა საკავშირო ჩემპიონატი. გაიმარჯვეს სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური საწყლოსნო სპორტკლუბის სპორტსმენებმა (თბილისის „დინამოს" წყალბურთელები უამინდობის გამო სასპარეზოდ ვერ ჩამოვიდნენ).

# ხელი შევუწყოთ მუზეუმს!

როგორც ცნობილია, თბილისში გახსნილია საქართველოს სპორტული მუზეუმი. ჩვენში კომუნისტური პარტიის შექმნისა და საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავთან დაკავშირებით მუზეუმის ხელმძღვანელობამ ექსპოზიციის განახლება გადაწყვიტა. ეს შესაძლებელია მხოლოდ ჩვენი სპორტული საზოგადოებრიობის აქტიური დახმარებითა და მხარდაჭერით.

მუზეუმის საბჭო თხოვნით მიმართავს ქართული ფიზკულტურული მოძრაობის ვეტერანებს, მოწინავე სპორტსმენებს, სამამულო ომის მონაწილე ფიზკულტურელებს, სპორტულ ორგანიზაციებს და ფიზკულტურულ საქმიანობასთან ახლოს მდგომ ყველა ადამიანს — მოგვაწოდონ ისტორიისთვის საინტერესო ფოტოსურათები, აფიშები, სამკერდე ნიშნები, სხვადასხვა საბუთი და მასალა, რაც კიდევ უფრო გაამდიდრებს საიუბილეოდ მომზადებულ ექსპოზიციას.

ჩვენი მისამართია: თბილისი-25, კონსტიტუციის ქ. № 6. ფიზიკური კულტურისა და სპორტის მუზეუმი.

ლილი ლომსაძე,
მუზეუმის თანამშრომელი.

## რაიონების სტრიქონები

### სოხუმი

„დინამოს" სტადიონზე ჩატარდა სოხუმის ა. მ. გორკის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის პირველობა ფეხბურთში. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ფიზიკა-მათემატიკისა და ფიზიკური აღზრდის ფაკულტეტების გუნდები. ანგარიშით 2:1 გაიმარჯვეს პირველებმა.

დ. ზონია.

### წითელი წყარო

ტრადიციად იქცა რაიონულ გაზეთ „ახალი შირაქის" თასის გათამაშება ფეხბურთში. წლევანდელი შეჯიბრების ფინალში გავიდნენ სოფ. ჯაფარიძისა და წითელი წყაროს ლენინის სახელობის კოლმეურნეობის გუნდები. დაძაბულმა ბრძოლამ წარმატება ჯაფარიძელ ფეხბურთელებს მოუტანა.

უ. წყარუაშვილი.

## რაიონების სტრიქონები

# სტარტზე — მთელი ოჯახით

იაკუტსკი, 21 ნოემბერი. ოქროსმაძიებელთა ქალაქ ალდანის შემოგარენში უჩვეულო შეჯიბრება ჩატარდა: სარბიელზე გამოვიდნენ ოჯახური პრინციპით დაკომპლექტებული გუნდები. ნათხილამურევზე სტარტი აიღეს დედებმა, მამებმა, მათმა ქალიშვილებმა და ვაჟებმა.

გამარჯვება მოიპოვა მძღოლ ნ. ვასილიევის ოჯახმა. ოჯახის უფროსთან ერთად გამოდიოდნენ ქალიშვილი ტატიანა და ვაჟი ვლადიმერი. III ადგილი დაიკავა ამ შეჯიბრების ინიციატორის, ალდანის რაიალმასკომის თავმჯდომარის ნ. კოჩნევის ოჯახმა. თავმჯდომარესთან ერთად სარბიელზე გამოვიდნენ მისი მეუღლე ლიდია და ქალიშვილი მაშა.

გამარჯვებულები საპატიო სიგელებით, სადილისა და ჩაის ქურქლით დააჯილდოვეს.

ოჯახური შეჯიბრებები ამიერიდან ტრადიციად იქცევა ალდანის სპორტულ ცხოვრებაში.

## ჩვენს ძმურ რესპუბლიკებში

ლიპეცკი. ნოვოლიპეცკის მეტალურგიული ქარხნის 26 სპორტულ სექციაში დაახლოებით 2 ათასი კაცია ჩაბმული. მუშა-მოსამსახურეთა განკარგულებაშია სპორტული დარბაზები, საცურაო აუზი. ახლახან აქ შეიქმნა მხატვრული ტანვარჯიშის სექციაც.

სურათზე: სპორტის სასახლეში მიმდინარეობს მეცადინეობა მხატვრულ ტანვარჯიშში.

ვ. კოჟევნიკოვის ფოტო (საქდესი).



# ფიზკულტურული წუთი სკოლაში

ფიზკულტურული წუთი ძირითადად ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის I-IV კლასებში ტარდება, მაგრამ მისი გამოყენება საშუალო და უფროსი კლასების გაკვეთილებზეც შეიძლება, რადგან ფიზკულტურული წუთის მიზანი მოსწავლეთა აქტიური დასვენებაა. მისი ჩატარება განსაკუთრებით მიზანშეწონილია სასწავლო დღის მეორე ნახევარში — ბოლო გაკვეთილებზე. ეს საერთოგანმავითარებელი ვარჯიშები შეიძლება ჩავატაროთ შუა გაკვეთილზე ან გაკვეთილის მეორე ნახევარში, როდესაც მოსწავლეთა დაღლილობა მატულობს.

ფიზკულტურულ წუთს ატარებენ ზოგადსაგანმანათლებლო საგნების მასწავლებლები, რომლებსაც აქტიური დახმარება უნდა გაუწიოს ფიზიკური აღზრდის მასწავლებელმა.

ვარჯიშები გრძელდება 1-2 წუთს. ფიზკულტურულ წუთში შეიძლება ჩართული იქნეს ერთიდან სამ ვარჯიშამდე. ძირითადად იყენებენ მარტივ საერთოგანმავითარებელ ვარჯიშებს, რომლებსაც მოსწავლეები ასრულებენ უმეტესად მერხთან — მჯდომარენი, ან ფეხზე მდგარნი მერხებს შორის გასასვლელში. გარდა საერთოგანმავითარებელი ვარჯიშებისა, ხშირად შეიძლება გამოვიყენოთ ადგილზე სიარული ან სიარული მკლავების მოძრაობით და სხვ.

ფიზკულტურული წუთის ვარჯიშები მეცადინეობის ხასიათის შესაბამისად უნდა შეირჩეს. ამასთან, სხეულის ფუნქციონალური მდგომარეობის ამაღლებისა და პროპორციული განვითარებისთვის, კომპლექსში შესაძლებლობის ფარგლებში ყურადღება უნდა მიექცეს ისეთი ვარჯიშების გამოყენებას, რომლებიც გამოიწვევენ მუშაობის პროცესში დაჭიმულ მდგომარეობაში მყოფი კუნთების შეკუმშვას და, პირიქით, შეკუმშული კუნთების დაჭიმულობას. მაგალითად, ხაზვის, ხატვის, წერისა და სხვა ამგვარი სამუშაოს შემდეგ ფიზკულტურულ წუთში მიზანშეწონილია ჩავრთოთ მკლავების მოძრაობა თითების მომუჭვითა და გაშლით, ასევე, ვარჯიშები გულმკერდის არეში გაზნექითა და თავის უკან გადახრით.

მოსწავლე გაკვეთილზე უმთავრესად მერხს უზის, რის შედეგადაც ქვედა კიდურების კუნთების უმეტესი ნაწილი თითქმის მთელი გაკვეთილის მანძილზე სტატიკურ მდგომარეობაში რჩება, რაც თავისთავად ხელს უშლის სისხლის ნორმალურ მიმოქცევას. ამ მდგომარეობის გამოსწორების მიზნით ფიზკულტურულ წუთში გამოყენებული უნდა იქნეს ისეთი ნაკლებ დამტვირთავი მოძრაობანი, რომლებიც ქვედა კიდურების დინამიკურ მუშაობას მოითხოვენ. კუნთების მორიგეობით დაჭიმვა, შეკუმშვა და მოდუნება ქმნის ეგრეთ წოდებულ „კუნთოვან დგუშს", რის შედეგადაც მომუშავე კუნთებში სისხლის მიმოქცევა უმჯობესდება. საამისოდ საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს ადგილზე სიარული, ბუქნი მუხლის განზე გაშლით და გაუშლელად, ფეხების აქნევა სხვადასხვა მიმართულებით, მერხიდან ადგომა-დაჯდომა და სხვ.

თუ ფიზკულტურულ წუთში მხოლოდ ერთი ვარჯიშის ჩატარება გვინდა, მიზანშეწონილია გამოყენებული იქნეს „გაზმორების" ტიპის ვარჯიში ადგომითა და დაჯდომით, მკლავებისა და ხელების მოძრაობით. ორი ვარჯიშის ჩატარების შემთხვევაში პირველ ვარჯიშად უნდა გამოვიყენოთ „გაზმორების" ტიპის ვარჯიში. თუ ეს ვარჯიში ადგომა-დაჯდომით სრულდება, მაშინ მეორედ სასურველია გამოყენებული იქნეს ვარჯიშები ზეტანისთვის — გაზნექები, უკუზნექები, ზეტანის ბრუნები და სხვ.

თუ „გაზმორების" ტიპის ვარჯიშები ჯდომის ან დგომის დროს სრულდება, მეორე ვარჯიშად მიზანშეწონილია ჩატარდეს ვარჯიში ქვედა კიდურებისათვის — მუხლების მაღლა აწევით ადგილზე სიარული, ბუქნი, ფეხების აქნევა სხვადასხვა მიმართულებით, მერხიდან ადგომა-დაჯდომა და სხვ.

სამი ვარჯიშის გამოყენების შემთხვევაში პირველად უნდა შესრულდეს „გაზმორების" ტიპის ვარჯიში; მეორედ — ვარჯიში ქვედა კიდურებისთვის და მესამედ — ვარჯიში ზეტანისთვის. იმ შემთხვევაში, თუ „გაზმორების" ტიპის ვარჯიში ადგომა-დაჯდომით სრულდება, მომდევნო ორი ვარჯიში შეიძლება განკუთვნილი იყოს ზეტანის კუნთებისთვის. მაგალითად, შესრულდება ჯერ უკუზნექი, შემდეგ — განზნექი, ანდა უკუზნექი და ზეტანის ბრუნები და სხვ.

ფიზკულტურულ წუთში ცალკეული ვარჯიშები 4-6-ჯერ უნდა გამეორდეს. თუ ერთი ვარჯიშია გამოყენებული, მაშინ დოზირება შეიძლება ოდნავ გაიზარდოს და, პირიქით, სამი ვარჯიშის ჩატარების შემთხვევაში გამეორებათა რიცხვი შეიძლება შემცირდეს. ადგილზე სიარული 10-12 წამს გრძელდება. ვარჯიშები უნდა შესრულდეს ნელ ტემპში. ცალკეულ შემთხვევებში ვარჯიშების ჩატარება საშუალო ტემპშიც შეიძლება.

თბილ და გრილ დღეებში ფიზკულტურული წუთის დაწყების წინ ოთახში უნდა გავაღოთ ფანჯრები, ცივ დღეებში კი სარკმელი.

ვარჯიშის დაწყების წინ მოსწავლეებმა სარტყელი უნდა მოუშვან და საყელო შეიხსნან. ვარჯიშის ჩატარების დროს უნდა მოვერიდოთ ხმამაღალ შეძახილებს. მოსწავლეებს მითითებანი უნდა მივცეთ ბრძანების ფორმით, მაგრამ წყნარად. საჭიროების შემთხვევაში მათ ვარჯიში უნდა ვუჩვენოთ და მივცეთ საჭირო მითითებები.

ვარჯიშის შესრულების დროს სწორ სუნთქვას ჰიგიენური თვალსაზრისით უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს. შესუნთქვაც და ამოსუნთქვაც ცხვირით უნდა შესრულდეს. ვარჯიშის პროცესში შესუნთქვა ხდება გულ-მკერდის ყაფაზის გაფართოების დროს, ამოსუნთქვა კი, პირიქით, შევიწროების დროს. სუნთქვა საჭიროა თავისუფლად, ძალდაუტანებლად. იგი უნდა იყოს მშვიდი და ღრმა. სუნთქვის პროცესში თანაბარზომიერად უნდა მონაწილეობდეს მთელი სასუნთქი აპარატი.

ფიზკულტურული წუთის ჩასატარებლად საჭირო საერთოგანმავითარებელი ვარჯიშები ფორმისა და ხასიათის მიხედვით მრავალგვარია. ქვემოთ მოგვყავს მათგან მხოლოდ რამდენიმე. ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ მოცემული ვარჯიშების დაყოფა პირობითია. ვფიქრობთ, ვარჯიშების ასეთი დაყოფა სკოლის ზოგადსაგანმანათლებლო საგნების მასწავლებლებს ხელს შეუწყობს ფიზკულტურული წუთის ჩატარებაში.

## „გაზმორების" ტიპის ვარჯიშები

### პირველი ვარჯიში

საწყისი მდგომარეობა: მერხთან ჯდომა. მოსწავლეს ნახევრადმოხრილი მკლავები მერხის სახურავზე უდევს.

შესრულება: 1-2. მკერდის არეში გაზნექა, თავის ოდნავ უკან გადახრა, ხელების დოინჯში გადატანა; 3-4. საწყის მდგომარეობაში დაბრუნება.

### მეორე ვარჯიში

საწყისი მდგომარეობა: მერხთან ჯდომა. მოსწავლეს ნახევრად მოხრილი მკლავები მერხის სახურავზე უდევს.

შესრულება: 1-2. მკერდის არეში გაზნექა, მკლავების წინ და ზევით აწევა; 3-4. საწყის მდგომარეობაში დაბრუნება.

## ვარჯიშები ქვედა კიდურებისთვის

### მესამე ვარჯიში

საწყისი მდგომარეობა: მერხთან ჯდომა, მოსწავლეს გამართული მკლავების ხელისგულები მერხის სახურავზე უდევს.

შესრულება: 1. ადგომა; 2. ყოვნა; 3. დაჯდომა; 4. ყოვნა.

### მეოთხე ვარჯიში

საწყისი მდგომარეობა: მერხებს შორის გასასვლელში პირისახით მერხისკენ დგომა, ცალი ხელი დადებულია მერხის სახურავზე, მეორე კი სკამის ზურგზე.

შესრულება: 1-2. ბუქნი; 3-4. ადგომა.

## ვარჯიშები ზეტანისთვის

### წინზნექები

#### მეხუთე ვარჯიში

საწყისი მდგომარეობა: მერხთან ფეხშლით დგომა, ფეხები მხრების სიგანეზეა, მკლავები მოხრილია თავს უკან, მოსწავლეს ხელისგულები კისერზე აქვს შემოდებული.

შესრულება: 1-2. ზეტანის წინ დახრა; 3-4. საწყის მდგომარეობაში დაბრუნება.

#### მეექვსე ვარჯიში

საწყისი მდგომარეობა: მერხებს შორის გასასვლელში პირისახით მერხისკენ ფეხშლით დგომა, ხელები გადატანილია დოინჯში.

შესრულება: 1-2. ზეტანის წინ დახრა, ხელისგულებით სკამზე შეხება; 3-4. საწყის მდგომარეობაში დაბრუნება.

### უკუზნექები

#### მეშვიდე ვარჯიში

საწყისი მდგომარეობა: მერხთან ფეხშლით დგომა, მკლავები ჩამოშვებულია ტანის გასწვრივ.

შესრულება: 1-2. ზეტანის უკან გადახრა, ხელების დოინჯში გადატანა; 3-4. საწყის მდგომარეობაში დაბრუნება.

#### მერვე ვარჯიში

საწყისი მდგომარეობა: მერხთან ფეხშლით დგომა, მკლავები მოხრილია თავს უკან, ხელისგულები კისერზეა შემოდებული.

შესრულება: 1-2. ზეტანის უკან გადახრა, მკლავების ზევით აწევა; 3-4. საწყის მდგომარეობაში დაბრუნება.

### განზნექები

#### მეცხრე ვარჯიში

საწყისი მდგომარეობა: მერხთან ფეხშლით ჯდომა, ხელები გადატანილია დოინჯში. მკლავები მოხრილია თავს უკან, ხელისგულები კისერზეა შემოდებული.

შესრულება: 1-2. ზეტანის მარცხნივ გადახრა; 3-4. საწყის მდგომარეობაში დაბრუნება; 5-8. იგივე — მარჯვენა მხარეს.

#### მეათე ვარჯიში

საწყისი მდგომარეობა: მერხებს შორის გასასვლელში ფეხშლით დგომა, მკლავები მოხრილია თავს უკან, ხელისგულები კისერზეა შემოდებული.

შესრულება: 1-2. ზეტანის მარცხნივ გადახრა, მკლავების ზევით აწევა; 3-4. საწყის მდგომარეობაში დაბრუნება; 5-8. იგივე — მარჯვენა მხარეს.

### ზეტანის ბრუნები

#### მეთერთმეტე ვარჯიში

საწყისი მდგომარეობა: მერხთან ფეხშლით ჯდომა, მკლავები ჩამოშვებულია ტანის გასწვრივ.

შესრულება: 1-2. ადგომა, ზეტანის მიბრუნება მარცხნივ, ხელების გადატანა დოინჯში (მკერდს წინ მკლავების მოხრა); 3-4. საწყის მდგომარეობაში დაბრუნება; 5-8. იგივე — მარჯვენა მხარეს.

#### მეთორმეტე ვარჯიში

საწყისი მდგომარეობა: მერხთან ფეხშლით დგომა, მკლავები ჩამოშვებულია ტანის გასწვრივ.

შესრულება: 1-2. ზეტანის მიბრუნება მარცხნივ, ხელისგულებით სკამის ზურგზე შეხება; 3-4. საწყის მდგომარეობაში დაბრუნება; 5-8. იგივე — მარჯვენა მხარეს.

ს. თედეევი,
საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის უფროსი მასწავლებელი, რესპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელი.




## სსრ კავშირის პირველობა




II ზონა

### გათამაშების საბოლოო ცხრილი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „შინიკი" (იაროსლავლი) | 42 | 24 | 14 | 4 | 66—31 | 62 |
| „ავტომობილისტი" (ნალჩიკი) | 42 | 22 | 15 | 5 | 58—17 | 59 |
| „ვოლგა" (კალინინი) | 42 | 22 | 11 | 9 | 57—31 | 55 |
| „მეტალურგი" (ტულა) | 42 | 21 | 11 | 10 | 80—38 | 53 |
| „მაშუკი" (პიატიგორსკი) | 42 | 17 | 16 | 9 | 52—36 | 50 |
| „დინამო" (სტავროპოლი) | 42 | 15 | 16 | 11 | 37—38 | 46 |
| „მეტალურგი" (ლიპეცკი) | 42 | 17 | 10 | 15 | 51—48 | 44 |
| „ლოკომოტივი" (კალუგა) | 42 | 14 | 16 | 12 | 47—56 | 44 |
| „ტრუდი" (ვორონეჟი) | 42 | 16 | 11 | 15 | 56—43 | 43 |
| „დინამო" (ბათუმი) | 42 | 14 | 15 | 13 | 35—40 | 43 |
| „დრუჟბა" (მაიკოპი) | 42 | 15 | 12 | 15 | 36—34 | 42 |
| „სალუტი" (ბელგოროდი) | 42 | 13 | 16 | 13 | 46—45 | 42 |
| „ტორპედო" (ტაგანროგი) | 42 | 13 | 15 | 14 | 36—43 | 41 |
| „ვოლგა" (გორკი) | 42 | 12 | 15 | 15 | 47—46 | 39 |
| „შირაკი" (ლენინაკანი) | 42 | 14 | 11 | 17 | 44—45 | 39 |
| „დილა" (გორი) | 42 | 14 | 11 | 17 | 45—56 | 39 |
| „სატურნი" (რიბინსკი) | 42 | 11 | 17 | 14 | 44—56 | 39 |
| „დინამო" (მახაჩკალა) | 42 | 13 | 11 | 18 | 45—55 | 37 |
| „სტალი" (ვოლგოგრადი) | 42 | 8 | 18 | 16 | 33—40 | 34 |
| „დინამო" (კიროვაბადი) | 42 | 12 | 8 | 22 | 37—46 | 32 |
| „დინამო" (ბრიანსკი) | 42 | 7 | 11 | 24 | 34—79 | 25 |
| „ფოლადი" (სუმგაითი) | 42 | 4 | 8 | 30 | 19—82 | 16 |




# ტურნირი დამთავრდა

გასულ შაბათსა და კვირას გაიმართა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავისადმი მიძღვნილი საფეხბურთო ტურნირის ბოლო მატჩები.

მოგვყავს მათი ტექნიკური შედეგები. 21 ნოემბერი. საქართველოს ჩემპიონატის მეორე ნაკრები— „იმედის" გუნდი 2:3, „ბ" კლასის პირველი ნაკრები — თბილისის „დინამოს" დუბლიორები 3:3, „ბ" კლასის მეორე ნაკრები — საქართველოს ჩემპიონატის პირველი ნაკრები 5:2. 22 ნოემბერი. საქართველოს ჩემპიონატის პირველი ნაკრები — საქართველოს ჩემპიონატის მეორე ნაკრები 2:1, თბილისის „დინამოს" დუბლიორები — „ბ" კლასის მეორე ნაკრები 1:2, „იმედის" გუნდი — „ბ" კლასის პირველი ნაკრები 1:1.

საიუბილეო ტურნირი საუცხოოდ ჩაატარეს „ბ" კლასის მეორე ნაკრების ფეხბურთელებმა (მწვრთნელი გ. ქოჩიაშვილი), რომლებიც დაჯილდოვდნენ თასით, დიპლომებით და ფასიანი საჩუქრებით. II ადგილზე გავიდა თბილისის „დინამოს" დუბლიორთა გუნდი (მწვრთნელი — სპორტის დამსახურებული ოსტატი ნ. ძიაპშიპა).

### გათამაშების საბოლოო ცხრილი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ბ" კლასის II ნაკრები | 5 | 5 | 0 | 0 | 15—6 | 10 |
| „დინამო" (დუბლიორები) | 5 | 3 | 1 | 1 | 11—7 | 7 |
| „ბ" კლასის I ნაკრები | 5 | 1 | 3 | 1 | 8—7 | 5 |
| „იმედის" ნაკრები | 5 | 1 | 2 | 2 | 6—9 | 4 |
| საქ. ჩემპ. I ნაკრები | 5 | 1 | 1 | 3 | 6—13 | 3 |
| საქ. ჩემპ. II ნაკრები | 5 | 0 | 1 | 4 | 6—10 | 1 |



# მიზანი მიღწეულია

ახლა, როცა თბილისის „დინამოს" რეგბისტთა გუნდმა ბოლოს და ბოლოს დაიბრუნა უმაღლეს ლიგაში თამაშის უფლება, უნებურად მახსენდება 1969 წლის აგვისტო, ლატვიის ქალაქი ბაუსკა. მაშინ ამ ქალაქში საკავშირო პირველობის ერთ-ერთი ზონა მოეწყო. იქ უნდა გარკვეულიყო ვინაობა ორი ფინალისტისა, რომლებიც სსრ კავშირის 1969 წლის ჩემპიონის ტიტულის მოსაპოვებლად ბრძოლას გააგრძელებდნენ. თბილისის „დინამო" ბაუსკაში ჩავიდა, როგორც ფინალის საგზურის ერთ-ერთი რეალური პრეტენდენტი. ამისთვის ყველა საფუძველი არსებობდა: ერთი თვის წინ „დინამომ" ლვოვში საზოგადოების ცენტრალური საბჭოს პირველობის ფინალში მოსკოვის თანაკლუბელთა ძლიერი კოლექტივი დაამარცხა. მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ ბაუსკაში გუნდი არაობიექტური მსაჯობის მსხვერპლი გახდა, წააგო შეხვედრა მაშინ შედარებით სუსტ კიევის დინამოელებთან და ფინალური თამაშების მიღმა დარჩა.

სწორედ ამ დროს გამოჩნდა გუნდის წევრების მტკიცე ნებისყოფა. როგორც გუნდის ვეტერანებმა ს. კეშელავამ, მ. თოფურიძემ, ს. ხაჭაპურიძემ, ვ. ზამიჩკინმა, თ. შარაშენიძემ, ვ. აკოფოვმა, რ. კეთილაძემ, გ. აბაშიძემ, ისე ახალგაზრდებმა — ვ. აბაშიძემ, ზ. რეხვიაშვილმა, ნ. ბუგიანიშვილმა, თ. ძამაშვილმა, ზ. ქელბაქიანმა გადაწყვიტეს, რადაც უნდა დასჯდომოდათ, გუნდის ნამდვილი შესაძლებლობა წლეულს დაემტკიცებინათ.

ჩვენი კოლექტივის მიზანი იყო მოგვეგო წლევანდელი რესპუბლიკური ჩემპიონატი, „დინამოს" ცენტრალური საბჭოს პირველობა და, რაც მთავარია, მიგვეღო ის ერთადერთი საგზური, რომელიც საკავშირო პირველობის II ლიგის გუნდებში საუკეთესო კოლექტივს უმაღლეს ლიგაში გამოსვლის უფლებას ანიჭებდა.

საქართველოს წლევანდელი პირველობა მაისში, თბილისში ჩატარდა. „დინამო" შეჯიბრებისთვის მონდომებით ემზადებოდა. ჩვენი ძირითადი მეტოქე, როგორც მუდამ, უმაღლესი ლიგის წევრი — თბილისის „ლოკომოტივის" ძლიერი კოლექტივი იყო. ამ გუნდების დავაში უნდა გარკვეულიყო რესპუბლიკის ჩემპიონის ვინაობა. მანამდე ამ კოლექტივებს თითოჯერ ჰქონდათ მოპოვებული საქართველოს ჩემპიონის საპატიო ტიტული. როგორც ცნობილია, პირველი შეხვედრა ფრედ (0:0) დამთავრდა, მეორე შეხვედრაში „დინამომ" გაიმარჯვა.

შემდგომი და ერთ-ერთი ძირითადი ეტაპი იყო საკავშირო პირველობის მეორე ჯგუფის III ზონის გუნდების ტურნირის (ლენინაკანი) მოგება. გუნდმა ეს ამოცანაც ბრწყინვალედ გადაწყვიტა — მოიგო ყველა შეხვედრა, მათ შორის, ერევნის „დინამოსთანაც" (17:3) და ფინალში ოქროს 2 ქულით შევიდა.

„დინამოს" ცენტრალური საბჭოს პირველობა აგვისტოში ქუთაისში გაიმართა. მანამდე თბილისელები ორჯერ იყვნენ საზოგადოების ჩემპიონები. ბუნებრივია, ამ ტიტულის შენარჩუნება ახლაც გვინდოდა, მაგრამ ბედი კიეველ რეგბისტებს სწყალობდათ და მათ ბურთების უკეთესი სხვაობის მეოხებით დაისაკუთრეს პირველობა.

უმაღლეს ლიგაში გადასასვლელი ფინალური შეხვედრებისთვის თამაშები აგვისტოს უნდა დაწყებულიყო ერევანში. თბილისელები კარგად მოემზადნენ, მაგრამ ტურნირი 10 ოქტომბრისთვის გადაიტანეს. ამ შუალედმა გუნდის სპორტულ ფორმაზე ცუდად იმოქმედა. ამას ისიც დაერთო, რომ საპატიო მიზეზით გუნდი დატოვა ორმა წამყვანმა მოთამაშემ — ვ. ზამიჩკინმა და გ. ხვედელიძემ, ერევანში საწვრთნელი ვარჯიშის დროს გუნდის კაპიტანი გ. აბაშიძე დაშავდა. ერთი სიტყვით, თბილისელთა კოლექტივი ფინალური ტურნირის წინ საგრძნობლად შესუსტებული აღმოჩნდა. „დინამოს" გუნდის ინტერესების დაცვა ახალ წევრებს — ე. ღუდუშაურს, თ. მჭედლიძეს, დ. სიკინჭელაშვილსა და ბ. გვალიას მიანდო.

ერევანში ჩატარებულ თამაშებს ამ წერილში არ განვიხილავთ, ვინაიდან რესპუბლიკის პრესაში მათს შესახებ საკმაოდ ბევრი დაიწერა. ვიტყვით მხოლოდ, რომ გუნდის ყველა წევრი გამარჯვებისთვის მონდომებით, თავდადებით იბრძოდა. ძნელია რომელიმე მათგანის გამოყოფა, მაგრამ ორს — ვ. აბაშიძესა და ს. მირონოვს მაინც დავასახელებ. ფინალურ ტურნირში მათ, როგორც საუკეთესო სამმეოთხედელებმა, სომხეთის სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის სპეციალური პრიზები დაიმსახურეს.

თბილისის „დინამო" უმაღლეს ლიგას დაუბრუნდა. გაისად სსრ კავშირის ჩემპიონობისთვის მებრძოლ 8 კოლექტივს შორის ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის ორი წარმომადგენელი იქნება — „ლოკომოტივი" და „დინამო". იმედია, ჩვენი გუნდები რესპუბლიკის სპორტული საზოგადოებრიობის მხარდაჭერით თავს არ დაზოგავენ, რათა 1971 წლის საკავშირო პირველობაში ღირსეული ადგილები დაიკავონ.

ხანმოკლე შესვენების შემდეგ დინამოელები მომავალი სპორტული სეზონისთვის მზადებას შეუდგებიან.

ზ. მგელაძე,
თბილისის „დინამოს" რეგბისტთა გუნდის უფროსი მწვრთნელი.

• • •

სურათზე: თბილისის „დინამოს" კოლექტივი.

## ■ მეტეოროლოგიური კორექტივი
## ■ პრესტიჟის მატჩი
## ■ თანაქალაქელები ურთიერთობას არკვევენ

პირველი და ჯერჯერობით ერთადერთი კორექტივი საკალათბურთო ჩემპიონატის კალენდარში ამინდმა შეიტანა. ძლიერი ყინვების შემდეგ ჰაერი ერთბაშად გათბა. ჩვენი ქვეყნის ჩრდილოეთის ქალაქები ნისლის გაუვალმა ფენამ დაფარა. და ვინაიდან ასეთ პირობებში ფრენა შეუძლებელია, თბილისის დინამოელებმა დანიშნულ დროს ვერ ჩააღწიეს კაუნასში. კალათბურთის საკავშირო ფედერაციის გადაწყვეტილებით მატჩი გადაიდო.

მაგრამ გუშინწინ 3 შეხვედრა მაინც გაიმართა. ორ მატჩში ურთიერთობას თანაქალაქელები არკვევდნენ და ამიტომაც ამ შეხვედრებს დიდი ინტერესი არ გამოუწვევია. სამაგიეროდ, მესამე შეხვედრა ტარტუს „კალევსა" და ლენინგრადის „სპარტაკს" შორის ცენტრალური ტელევიზიის პროგრამითაც კი გადაიცა და ამიტომაც პირველ ყოვლისა სწორედ მის შესახებ მოგახსენებთ.

გასულ სეზონში ლენინგრადის „სპარტაკმა" დიდი ნახტომი გააკეთა წინ და ყველაზე მეტად დაუახლოვდა საბჭოთა კალათბურთის ბოლოდროინდელ ლიდერს — ცსკა-ს. ლენინგრადელთა აქციები საკმაოდ ძვირად ფასობს წლეულსაც, ვინაიდან ვერცხლის გუნდი მისმა და სსრ კავშირის ნაკრების მწვრთნელმა ვ. კონდრაშინმა ფაქტიურად ნაკრების საბაზო კოლექტივად აქცია. ახლა ნევისპირელთა ყოველ კალენდარულ მატჩს სატურნირო მნიშვნელობაც აქვს და პრესტიჟისაც. მისგან მეტს ელიან და მეტს მოითხოვენ. სპარტაკელთა ყოველი გამოსვლა საერთაშორისო სარბიელის კუთხითაც ფასდება.

ნაკრების ორი წევრი ჰყავს შემადგენლობაში ტარტუს „კალევსაც", მაგრამ ესტონეთის საუკეთესო გუნდის სიმდიდრე ამით არ ამოიწურება. „კალევში" რამდენიმე ძველი გვარდიელიც თამაშობს, რომლებმაც თავის დროზე გარკვეული როლი შეასრულეს საბჭოთა კალათბურთის საერთაშორისო ავტორიტეტის შექმნაში. და თუ ყველაფერ ამას დავუმატებთ იმასაც, რომ ესტონელები შინ ერთიორად უკეთ თამაშობენ, ცხადი გახდება რაოდენ დიდი სირთულეების წინაშე იდგნენ გუშინწინ ნევისპირელები და მათი მწვრთნელი.

მოკლედ, ამ დღეს მაყურებლებს საშუალება ჰქონდათ შეეფასებინათ ნაკრების წევრთა ერთი დიდი ჯგუფის თამაში. „სპარტაკის" სასტარტო ხუთეულში იყვნენ ივანოვი, ბელაშოვი, ფეოდოროვი, ბელოვი (ყველა — ნაკრებიდან) და ვოლჩკოვი. ესტონელთა ღირსებას იცავდნენ: ტომსონი, კრიკუნი (ორივე — ნაკრებიდან), ტამისტე, ლიპსო და ლეპმეტსი (ძველი გვარდიელები). ბრძოლა პირველივე წუთიდან მსაჯთა საფინალო სასტვენამდე უაღრესად მძაფრი და საინტერესო იყო. უპირატესობას მეტწილად მასპინძლები ფლობდნენ, თუმცა არც სპარტაკელები იყვნენ გულხელდაკრეფილი.

პირველი ტაიმის მიწურულს ნევისპირელი კალათბურთელები დაწინაურდნენ — 39:38, მაგრამ მათი პოზიცია მაინც არ იყო ნყარი და საიმედო. საქმე ისაა, რომ ესტონელებმა მეტოქე პირველ ყოვლისა ფარქვეშ განაიარაღეს და ამით მინიმუმამდე დაიყვანეს ივანოვისა და ბელოვის უპირატესობა სიმაღლეში. „კალევისთვის" ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა, ვინაიდან მას შემადგენლობაში არა ჰყავს ასეთი ტანმაღალი ცენტრალური მოთამაშეები. დანარჩენი უკვე თამაშის საქმე იყო, რაც ესტონელებს არავისგან ესწავლებათ.

ერთი სიტყვით, შეხვედრის ბედი გადაწყვიტა რაციონალურმა ტაქტიკამ, რომელიც ამჯერად „კალევმა" უფრო ეფექტურად გამოიყენა, ვიდრე მისმა ლენინგრადელმა მეტოქემ. საბოლოო ჯამში ძნელი, მაგრამ საპატიო გამარჯვება მასპინძლებს დარჩათ — 73:70.

დუბლიორთა მატჩმა, რომელიც ამ შეხვედრის წინ გაიმართა, ხაზი გაუსვა ესტონელთა უდავო უპირატესობას. „კალევის" ახალგაზრდულმა შემადგენლობამ გაიმარჯვა ანგარიშით 94:79.

კიევში ურთიერთობას არკვევდნენ ძველი და ალბათ ყველაზე შეურიგებელი მეტოქეები: ადგილობრივი არმიელები და „სტროიტელი". მაშინაც კი, როცა უმაღლესი საკალათბურთო ტიტულისთვის იბრძოდა, „სტროიტელს" თავის „უმცროს" კოლეგებთან თამაში უჭირდა. როგორც ჩანს, ნავსი გატყდა. ყოველ შემთხვევაში, ასეთი დამაჯერებელი გამარჯვება „სტროიტელს", თუ არ ვცდები, ჯერ არ მოუპოვებია — 89:61. სამაგიეროდ, დუბლიორთა შეხვედრაში არმიელებმა იმარჯვეს — 73:70.

ამ დღეს გაიმართა თანაქალაქელთა კიდევ ერთი მატჩი: რიგის არმიის სპორტული კლუბის გუნდმა დაამარცხა ვეფ-ი, რომელიც ერთწლიანი შესვენების შემდეგ კვლავ დაუბრუნდა უმაღლეს ლიგას. არმიელებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 74:71.

ნ. ბუბუშვილი.

### მაიაკოვსკი

დამთავრდა მოსწავლე ფეხბურთელთა რაიონული შეჯიბრება სპორტის დამსახურებული ოსტატის ვ. მარღანიას სახელობის თასზე. ფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს მაიაკოვსკის ე. ნინოშვილის სახელობისა და დიმის 1-ლი სკოლების ფეხბურთელებმა. ანგარიშით 2:1 გაიმარჯვეს მაიაკოვსკელმა მოსწავლეებმა.

ვ. ბარუჩავა.

ფეხბურთი

## გიძი ნოდიას ორი გოლი

ჰამბურგი, 22 ნოემბერი. გუშინ აქ ერთმანეთს შეხვდნენ სსრ კავშირის ნაკრებისა და ადგილობრივი სპორტული კავშირის ფეხბურთელთა გუნდები. ანგარიშით 3:0 გაიმარჯვეს სტუმრებმა.

განსაკუთრებით გამოიჩინა თავი თავდამსხმელმა გ. ნოდიამ, რომელმაც მასპინძელთა კარში ორი ბურთი გაიტანა. მესამე გოლის ავტორია ვ. კოლოტოვი.

• • •

ბეირუთი, 22 ნოემბერი. ერევნის „არარატმა" თავისი ტურნეს მორიგ მატჩში ანგარიშით 4:0 სძლია „ჰოვენენს".

## ტაშკენტში!

სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციამ დაადგინა: ქვეყნის ჩემპიონის წოდებისთვის გადამწყვეტი მატჩი მოსკოვის „დინამოსა" და ცსკა-ს შორის გაიმართოს 5 დეკემბერს ტაშკენტის „ფახთაქორის" სტადიონზე.

## უკანასკნელ საათს

◆ ტოკიო, 23 ნოემბერი. მსოფლიოს აბსოლუტურმა ჩემპიონმა ე. კენმოტცუმ იაპონიის ტანმოვარჯიშეთა პირველობაში მხოლოდ III ადგილი დაიკავა — 113,475 ქულა. შაბათსა და კვირას გამართულ ჩემპიონატში ყველას აჯობა ა. ნაკაიამამ — 114,15 (სავალდებულო პროგრამაში — 57 ქულა). ვერცხლის დიდი მედალი ხვდა ტრავმის შემდეგ წლეულს პირველად მოასპარეზე ს. კატოს — 113,60. ქალთა შეჯიბრებაში უძლიერესი იყო მ. ხისამაცუ — 77,25 (სავალდებულო პროგრამაში — 38,50). იაპონიის ტანვარჯიშული ასოციაციის 40 წლისთავის აღსანიშნავად განზრახულია ნაგოიასა და ტოკიოში დეკემბერში საჩვენებელი შეჯიბრებების მოწყობა მსოფლიოს წამყვან ტანმოვარჯიშეთა მონაწილეობით. მოწვეულთა შორის არიან საბჭოთა ოსტატები, აგრეთვე მ. ცერარი (იუგოსლავია), კ. რიგბი (აშშ), ბ. რიმნაჩოვა (ჩეხოსლოვაკია).



უფა. რეზინის ტექნიკურ ნაკეთობათა ქარხანაში აითვისეს ახალი რეზინის ნავების — „დელფინი-2"-ის წარმოება. ახალი ნავის ტვირთამწეობა 200 კილოგრამს უდრის. ნავს აქვს მაგარი ფსკერი და ორი დასაჯდომი ადგილი.

სურათზე: კარკასების შეწებების ოსტატი მ. მილჩაკოვი და უბნის უფროსი ოსტატი ლ. სოკოლოვა ახალ ნავთან.

ბ. კლიპინიცერის ფოტო (საკდესი).



◆ ათენი, 23 ნოემბერი. მექსიკის IX მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორმა — გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფეხბურთელთა ნაკრებმა აქ ანგარიშით 3:1 (2:0) დაამარცხა საბერძნეთის ეროვნული გუნდი. გამარჯვებულთაგან გოლები გაიტანეს ნეცერმა, გრაბოვსკიმ და ბეკენბაუერმა.

◆ პრაღა, 23 ნოემბერი. დამთავრდა ჩეხოსლოვაკიის საფეხბურთო ჩემპიონატის პირველი, საშემოდგომო წრე. ლიდერობს ტრნავის „სპარტაკი", რომელმაც 15 მატჩში 22 ქულა დააგროვა. II ადგილზეა ოსტრავის „ბანიკი" — 20 ქულა. 18 ქულით III ადგილი უჭირავს უმაღლესი ლიგის დებიუტანტს — ტრენჩინის „ედნოტას". ჩეხოსლოვაკიის ჩემპიონი — ბრატისლავის „სლოვანი" მხოლოდ მეხუთეა (17 ქულა). გაზაფხულზე მეორე წრის თამაშები დაიწყება.

◆ ვარშავა, 23 ნოემბერი. პოლონელ ფეხბურთელთა ჩემპიონატის ნახევარი ყველაზე უკეთ განვლო ვარშავის „ლეგიამ": ქვეყნის უძლიერესმა გუნდმა 13 მატჩში 22 ქულა დააგროვა. საშემოდგომო „ბატალიებში" იგი მხოლოდ ერთხელ დამარცხდა — ზაბჟეს „გურნიკთან" (1:3), რომელსაც III ადგილი უკავია (16 ქულა). უმაღლესი ლიგის დებიუტანტი — რიბნიკის „როვი" IV ადგილზეა (15 ქულა).

◆ ბაქო, 23 ნოემბერი. სსრ კავშირის უძლიერესმა კარტინგისტებმა 26 ბაქოელი კომისრის პრიზის ტრადიციული გათამაშებით დაამთავრეს სეზონი. ამ საპატიო ნადავლს პირველად დაეუფლნენ აზერბაიჯანის სპორტსმენები. „125-ანებში" ჭაბუკთა შორის თავსატეხი ტრასა ყველაზე კარგად დაფარა ბაქოელმა ნ. მუსტაფაევმა. იგი ერთადერთი მოასპარეზე გამოდგა, ვინც ყველა სერია მოიგო. ვაჟთა შორის ამავე კლასში საუკეთესო იყო აზერბაიჯანელი სტუდენტი ე. ზეინალოვი, რომელმაც განაპირობა მასპინძელთა გუნდური გამარჯვება. „175-ანებში" I ადგილი დაიკავა თბილისელმა ზ. ცირეკიძემ. გუნდურ ჩათვლაში II ადგილზე არიან მინსკელები, III — ნოვოსიბირსკელები.

# ერთპიროვნული ლიდერია გელერი

პალმა დე მალიორკის საზონათშორისო ტურნირი. მდგომარეობა 10 ტურის შემდეგ: ე. გელერი (სსრ კავშირი) — 7 ქულა, რ. ფიშერი (აშშ) — 6,5 ქულა და 2 გადადებული პარტია, ო. პანო (არგენტინა) — 5,5 ქულა და 2 გადადებული პარტია, ლ. პოლუგაევსკი, მ. ტაიმანოვი (ორივე — სსრ კავშირი), ს. გლიგორიჩი, ბ. ივკოვი (ორივე — იუგოსლავია), ვ. ულმანი (გდრ), ე. მეკინგი (ბრაზილია) — 5,5-5,5 ქულა, ვ. სმისლოვი (სსრ კავშირი), ლ. პორტიში (უნგრეთი), ტ. უიტუმენი (მონღოლეთი) — 5-5 ქულა, ბ. ლარსენი (დანია), დ. მინიჩი (იუგოსლავია) — 4,5-4,5 ქულა და 2-2 გადადებული პარტია, დ. სათლზი (კანადა) — 4,5 ქულა.

IX ტურის შემდეგ მოეწყო გადადებული პარტიების დამთავრება. ფიშერს სამი პარტია ჰქონდა დასამთავრებელი, მაგრამ მხოლოდ ერთი ითამაშა — პორტთან და გაიმარჯვა კიდეც. დანარჩენ ორ შეხვედრაში — მატულოვიჩთან და ლარსენთან იგი საეჭვოა დამარცხებას გადაურჩეს.

ტაიმანოვს ლარსენთან გადადებულ პარტიაში ზედმეტი პაიკი ჰქონდა და სუსტი თამაშით მეტოქე აიძულა 66-ე სვლაზე დანებებულიყო. მეორე პარტია პორტიშთან ტაიმანოვმა ყაიმით დაასრულა. ყაიმზე შეთანხმდნენ პოლუგაევსკი და ულმანი, ივკოვი და ე. ხიმენესი (კუბა), სათლზი და პორტიში, უ. ადისონი (აშშ) და მეკინგი.

გელერმა დაამარცხა უიტუმენი, პანომ — რ. ჰიუბნერი (გფრ), ამ უკანასკნელმა — ადისონი.

ყველასთვის მოულოდნელად გლიგორიჩი დამარცხდა ადისონთან.

კვლავ დაუმთავრებელი დარჩა მინიჩ—ს. რეშევსკის (აშშ), ჰორტ—პანოსა და ჰიუბნერ — რეშევსკის შეხვედრები.

X ტური სარეკორდო გამოდგა ყაიმებით. არც ერთი მოგება და 7 ყაიმი. ასე დამთავრდა პოლუგაევსკი — სათლზის, გელერ — ტაიმანოვის, ივკოვ — ულმანის, ხიმენეს—უიტუმენის, პორტიშ — ფიშერის, რეშევსკი — სმისლოვისა და მეკინგ — გლიგორიჩის პარტიები. მინიჩ — ი. რუბინეტის (არგენტინა), ლარსენ—მ. ფილიპის (ჩეხოსლოვაკია), რ. ნარანხა (ფილიპინები) — ჰორტისა და პანო—ადისონის შეხვედრები გადაიდო.

• • •

### ფიშერი — ლარსენი
### სიცილიური დაცვა

1. e4 c5 2. მf3 d6 3. d4 cd 4. მ:d4 მf6 5. მc3 მc6 6. კc4 e6 7. კb3 კe7 8. კe3 0—0 9. ლe2 a6 10. 0—0—0 ლc7 11. g4 მd7 12. h4 მc5 13. g5 b5 14. f3 კd7 15. ლg2 b4 16. მce2 მ:b3+ 17. ab a5 18. g6 fg 19. h5 მ:d4 20. მ:d4 g5 21. კ:g5 კ:g5 22. ლ:g5 h6 23. ლg4 ეf7 24. ეhg1 a4 25. ba e5 26. მe6 ლc4 27. b3 ლ:e6 28. ლ:e6 კ:e6 29. ე:d6 ეe8 30. ეb6 ე:f3 31. ე:b4 ეc8 32. მფb2 ეf2 33. ეc1 კf7 34. a5 ეa8 35. ეb5 კ:h5 36. ე:e5 კe2 37. ეc5 h5 38. e5 კf3 39. მფc3 h4 40. მფd3 ეe2 41. ეg1 ეd8+ 42. მფc3 კe4 43. მფb4 ეb8+ 44. მფa3 h3 45. e6 კ:c2 46. b4 ლარსენმა საპასუხო სვლა ჩაიწერა.

ახლა დაფაზე ასეთი მდგომარეობაა შექმნილი:



# შაშათის მუქარით

ბელცი, 22 ნოემბერი. აქ სტარტი აიღო მოჭადრაკე ქალთა XXX საკავშირო ჩემპიონატმა. დაფებს მიუსხდა 6 საერთაშორისო ოსტატი, ამდენივე სპორტის ოსტატი და 8 პირველთანრიგოსანი.

I ტურში სსრ კავშირის ექსჩემპიონი მ. რანიკუ საქართველოს ჩემპიონს ც. კახაბრიშვილს შეხვდა. შამათის მუქარის გამო კახაბრიშვილმა თავი დამარცხებულად ცნო.

ყაიმით დამთავრდა ს. როოტარე — ვ. ბორისენკოსა და მ. სამულ— ლ. ლიუბარსკაიას შეხვედრები. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

II ტურში ნ. კონოპლიოვამ დაამარცხა ნ. ალიოხინა, ვ. უშაკოვამ — როოტარე, ლ. სტარჩენკომ — ლიუბარსკაია.

ყაიმით დამთავრდა სსრ კავშირის თასის მფლობელის ტ. ლემაჩკოსა და თ. ზაიცევას შეხვედრა.

დანარჩენი პარტიები გადაიდო.

## • KOPANA • ФУТБОЛ • ფეხბურთი • LABDARUGAS •

### მწვრთნელმა გაძლო... 3 კვირას!

ესპანეთის I ლიგის კლუბი „რეალი" (სარაგოსა) ამ ბოლო დროს ხელთათმანივით იცვლის მწვრთნელებს. უკანასკნელმა მწვრთნელმა მარტინმა გაძლო სულ... სამ კვირას. მან გუნდის შედეგები ვერ გააუმჯობესა, ან რა უნდა მოესწრო ასეთი მცირე ხნის განმავლობაში?

ახლა სარაგოსის „რეალის" მწვრთნელად დაინიშნა გამოჩენილი სპეციალისტი ბალმანია. ერთ დროს იგი ესპანეთის ნაკრების ხელმძღვანელი იყო.

● ●

### უკვე 35 წლის ასაკში

ყველაზე მეტი მაყურებელი ინგლისის კლუბებს შორის „მანჩესტერ იუნაიტედს" ჰყავს. ეს გასაგებიცაა, ვინაიდან ამ კლუბში თამაშობენ ბესტი, ბ. ჩარლტონი, ლოუ და სხვა განთქმული ფეხბურთელები. „მანჩესტერ იუნაიტედის" ყოველ მატჩს საშუალოდ 51.165 მაყურებელი ესწრება.

ამიტომაა, რომ „მანჩესტერ იუნაიტედს" საუკეთესო ფინანსური მდგომარეობა აქვს. იგი ერთადერთი ინგლისური კლუბია, რომელიც თავის მოთამაშეებს (უფრო ხშირად, ყოფილ მოთამაშეებს) უკვე 35 წლის ასაკში უნიშნავს პენსიას.

● ●

### ფედერაციის დადგენილებით

იტალიის ფეხბურთის ფედერაციამ ყველა პროფესიული კლუბის ხელმძღვანელობას დაუგზავნა წერილი. მასში ლაპარაკია იმაზე, რომ პროფესიული კლუბები დიდ პრემიებს აძლევენ ცალკეულ ფეხბურთელებს, რაც მათ კოლექტივებში ხშირ შემთხვევაში არაჯანსაღ ვითარებას ქმნის. ამიტომ ფედერაციამ პრემიების საგრძნობლად შემცირება დაადგინა.

კლუბები გააფრთხილეს, რომ თუ ისინი ამ გადაწყვეტილებას არ შეასრულებენ და პრემიებს მალულად გასცემენ, მკაცრად დაისჯებიან.

ფედერაციის სანქციებმა იმოქმედა კიდეც. „ბრეშიამ", მაგალითად, 50 პროცენტით შეამცირა პრემიები.

### ოსიმი — „სტრასბურგში"

არაერთი გამოჩენილი იუგოსლაველი ფეხბურთელი გამოდის ამჟამად უცხოეთში. ნაკრების მთავარი მწვრთნელის რ. მიტიჩის პროტესტის მიუხედავად, მათი რიცხვი სულ უფრო იზრდება.

ახლახან გამოცხადდა, რომ ნაკრების ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშე ოსიმი ზაგრების „დინამოდან" საფრანგეთის I ლიგის კლუბ „სტრასბურგში" გადადის.

● ●

### „ოქროს ბუცს" უმიზნებს

ალბერტ დუნაი ერთ-ერთ ყველაზე უფრო შედეგიან თავდამსხმელად ითვლება არა მარტო უნგრეთში, არამედ ევროპაშიც. მან 1968 წელს საუკეთესო შედეგისთვის მიიღო „ფრანს-ფუტბოლის" მიერ დაწესებული ჯილდო „ვერცხლის ბუცი", წლეულს კი „ბრინჯაოს ბუცი".

ამ დღეებში დუნაიმ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ 1971 წლისთვის ყველაფერს იღონებს, რათა მიიღოს სნაიპერთათვის დაწესებული უმაღლესი ჯილდო — „ოქროს ბუცი". წლეულს ეს პრიზი ცნობილმა თავდამსხმელმა ჰ. მიულერმა (გფრ) დაიმსახურა.

● ●

### გონდე კვლავ მინდორზეა

1965 წელს, როცა საფრანგეთის ნაკრებში დებიუტი ჰქონდა ახალგაზრდა ცენტრალურ თავდამსხმელ ფ. გონდეს („ნანტი"), ეროვნული ფეხბურთის მესვეურები დიდი ოპტიმიზმით განიმსჭვალნენ. „ასეთი ფეხბურთელი კოპას შემდეგ არა გვყოლია", — ამბობდნენ ისინი. გონდე მართლაც დიდი ხელოვნებით თამაშობდა, უნარიანად ხელმძღვანელობდა ნაკრების თავდასხმის იერიშებს და ბევრი გოლიც გაჰქონდა.

მაგრამ უკვე 1966 წლის ნოემბერში გონდემ ფეხი მოიტეხა და იგი გუნდისთვის საბოლოოდ დაკარგულად მიიჩნიეს. თითქმის სამწელიწადნახევარი მკურნალობის შემდეგ იგი კვლავ გამოჩნდა მინდორზე და არც თუ ურიგო შთაბეჭდილებას სტოვებს. ფრანგ მიმომხილველებსაც დაუბრუნდათ ოპტიმისტური ტონი.

რედაქტორი მ. პაპაბაძე.

„ლოკომოტივის" სტადიონი
(ი. ჭავჭავაძის პრ. № 74)




24 ნოემბერი
საქართველოს „ბ" კლასის ნაკრები — საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები
დასაწყისი 15 ს.

თბილისის სპორტულ ბაზაზე

ტყვიის სროლა. ავჭალის სასროლეთი. 24 ნოემბერი-2 დეკემბერი. სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალთა პირად-გუნდური პირველობა. დასაწყისი 10 ს.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 11. 7 უე 10615